მიჯაჭვულობის სტილები, როგორც მედიატორი მშობლის ემოციურ მიუწვდომლობასა და თვითშეფასებას შორის

ნათია თეთრუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია თეთრუაშვილი

20 ივნისი, 2025

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს მშობლის ემოციური მიუწვდომლობის, მიჯაჭვულობის სტილებისა და თვითშეფასების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა, კერძოდ კი იმის დადგენა, ასრულებს თუ არა მიჯაჭვულობის სტილი მედიატორის როლს მშობლის ემოციურ მიუწვდომლობასა და თვითშეფასებას შორის. ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, გამოიკითხა N 100 (80 ქალი და 20 მამაკაცი) მონაწილე. მონაცემების შეგროვება განხორციელდა ხელმისაწვდომი შერჩევის პრინციპით, მონაწილეებმა შეავსეს სტანდარტიზებული კითხვარი მშობლის ემოციური მიუწვდომლობის, მიჯაჭვულობის სტილებისა და თვითშეფასების შესაფასებლად. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა კორელაციის, იერარქიული რეგრესიისა და მედიაციური მოდელის გამოყენებით.

კვლევის თეორიულ საფუძვლად მიიჩნევა მოსაზრება, რომ მშობლის ემოციური მიუწვდომლობა ხელს უწყობს არაჯანსაღი მიჯაჭვულობის სტილის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ შეიძლება დაკავშირებული იყოს დაბალ თვითშეფასებასთან. მიღებული შედეგების მიხედვით, მამის ემოციური მიუწვდომლობა აღმოჩნდა შფოთვითი და ამრიდებლური მიჯაჭვულობის სტილის მნიშვნელოვნი პრედიქტორი. აღნიშნული მიჯაჭვულობის სტილები, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე. მედიაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მამის ემოციური მიუწვდომლობა თვითშეფასებაზე ახდენს არაპირდაპირ გავლენას შფოთვითი და ამრიდებლური მიჯაჭვულობის სტილების მედიაციით. დედის ემოციურმა მიუწვდომლობამ სტატისტიკურად მნიშვნელოვნივი გავლენა არც მიჯაჭვულობის სტილებზე და არც თვითშეფასებაზე არ აჩვენა.

საძიებო სიტყვები : ემოციური მიუწვდომლობა, მიჯაჭვულობა, თვითშეფასება.

Abstract

The aim of the present study was to examine the interrelationship between parental emotional unavailability, attachment styles, and self-esteem, with a particular focus on whether attachment style serves as a mediator between parental emotional unavailability and self-esteem. A quantitative research design was employed, involving 100 participants (80 women and 20 men), selected through convenience sampling. Data were collected using standardized self-report questionnaires assessing perceived parental emotional unavailability, attachment styles, and self-esteem.

Data analysis was conducted using Pearson's correlation, hierarchical multiple regression, and mediation analysis. The theoretical framework of the study was based on the assumption that parental emotional unavailability fosters the development of insecure attachment styles, which in turn may be associated with lower self-esteem.

The findings revealed that paternal emotional unavailability significantly predicted both anxious and avoidant attachment styles. These attachment styles were, in turn, negatively associated with self-esteem. Mediation analysis indicated that the effect of paternal emotional unavailability on self-esteem was indirect, operating through the mediating roles of anxious and avoidant attachment styles. Maternal emotional unavailability, on the other hand, did not show a statistically significant association with either attachment styles or self-esteem.

Keywords: **Emotional unavailability, attachment, self-esteem**

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის, მსურს გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩემი ხელმძღვანელის — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ქალბატონ ირინა ვარდანაშვილის მიმართ. მისი ჩართულობა და თანადგომა მთელი კვლევისა და ნაშრომის წერის განმავლობაში ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობა და გულწრფელი პასუხები გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა კვლევის განხორციელებისა და შედეგების მიღების პროცესში.